მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საინფორმაციო გამოცემა, 2024 წელი, №4

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 6 თვის ანგარიში

მესტიის მუნიციპალიტეტში, 2024 წელს ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის დაიგეგმა 15 898 322 ლარის სამუშაოების შესრულება. საქართველოს მთავრობის განკარგულებით, სხვადასხვა პროექტებისთვის გამოყოფილია:

- რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 7 613 976 ლარი,
- მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან 500 097 ლარი,
- სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ 284 000 ლარი,
- სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 1 574 000 ლარი და
- საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესრულებიდან გამომდინარე კაპიტალური გრანტის სახით გამოყოფილი იქნა 450 000 ლარი.
- ადგილობრივი ბიუჯეტიდან კი 4 176 249 ლარის პროექტები.

მიმდინარე წლის 6 თვეში ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაციაზე დაიხარჯა 8 552 812 ლარი, რაც წლიური გეგმის 55 %-ს შეადგენს. 6 თვის გეგმა კი 108 %-ით შესრულდა. შესრულებულ სამუშაოთა უმეტესი ნაწილი მოდის საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. გასულ 6 თვეში გზებისა და ხიდების მშენებლობა რეაბილიტაციაზე ნაცვლად 3 800 000 ლარისა (წლიური გეგმა განისაზღვრა 7 600 000 ლარის ოდენობით) შესრულდა 5 702 400 ლარის სამუშაოები. გეგმა შესრულდა 150 %-ით. 2024 წელს დაიწყო:

მესტიის ქუჩების რეაბილიტაცია 4 ლოკაციაზე (NAT240001680), პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრა 1 760 640 ლარის ოდენობით. პროექტი უნდა დამთავრდეს 2026 წლის 30 აპრილამდე. გეგმა-გრაფიკის მიხედვით მიმდინარე წელს უნდა შეესრულებინათ 725 726 ლარის სამუშაოები, რომელიც ფაქტიურად 1 ივლისამდე აითვისეს და 6 თვის გეგმა 195 %-ით შესრულდა.

- ლახამულის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფლის ცენტრამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (NAT240001497) მრავალწლიან პროექტს წარმოადგენს, მიმდინარე წელს გათვლილი იყო 527 000 ლარის სამუშაოები. 6 თვეში დაიხარჯა 420 000 ლარი, წლიური გეგმა 84 %-ით, 6 თვის კი 168 %-ით შესრულდა. გზის მშენებლობა უნდა დამთავრდეს 2026 წელს. სულ ჯამში დაიხარჯება 1 819 973 ლარი.
- წვირმის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ იელის 10 კმ-იანი საავტომობილო გზის მშენებლობა (NAT240001497), სამუშაოთა მოცულობისა და სახარჯთაღრიცხვო ღირებულებიდან გამომდინარე პროექტი არის მრავალწლიანი. მიმდინარე წლისთვის განისაზღვრა მოსამზადებელი სამუშაოებისა და გზის 1 კმ-იანი მონაკვეთზე ბეტონოს საფარის მოწყობა. განვლილ 6 თვეში შესრულდა 746 570 ლარის სამუშაოები. გეგმის შესრულებამ 149% შეადგინა.
- სამშენებლო სამუშაოები დაიწყო იდლიანის ადინისტრაციულ ერთეულის ცენტრთან დამაკავშირებელ ხიდამდე მისასვლელი საავტომობილო გზაზე და 6 თვეში დაიხარჯა 500 000 ლარი.

სამშენებლო სამუშაოები გაგრძელდა წინა წლებში დაწყებულ ობიექტებზე და ესენია:

- იფარის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ზეგანის საავტომობილო გზის მშენებლობა (NAT230000533), პროექტი უნდა დასრულდეს 2025 წელს. მიმდინარე წლისთვის განსაზღვრულია 1 000 000 ლარის ათვისება, ობიექტზე ამ ეტაპისთვის მთლიანად შესრულებულია სამუშაოთა 60%.
- ლატალის ადმინისტრაციულ ერთეულში ლახუშდის საავტომობილო გზის მშენებლობაზე (NAT230000737) შესრულების მაჩვენებელი 65%-ს აღწევს და უნდა დასრულდეს 2025 წლის მაისში.
- მულახის ადმინისტრაციულ ერთეულში არცხელის გზის მშენებლობასა და ხიდის რეაბილიტაციაზე (NAT230004473) 6 თვეში შესრულებულია 191 313 ლარის სამუშაოები.
- სოფელ ჭუბერში ყარსგურიშის 7,4 კმ საავტომობილო გზის მშენებლობაზე (NAT230006809), რომელიც ასევე გარდამავალ პროექტია, დაიწყო ბეტონის საფარის დაგება და მიმდინარე წელს სულ ჯამში შესრულდა 1 720 000 ათ ლარის სამუშაოები.
- წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს ფარის ადმინისტრაციულ ერთეულში, ცენტრთან დამაკავშირებელი გზის მშენებლობა.
- გაგრძელდა წვირმის 3 კმ-იანი საავტომობილო გზის მშენებლობის მეორე ეტაპის სამუშაოები.
- მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების პროგრამის ფარგლებში, 2024 წლის 6 თვეში სასმელი წყლის სისტემების მშენებლობასა და კეთილოწყობას მოხმარდა 577 323 ლარი. მათ შორის:
- ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნა 500 000 ლარი.
- ადგილობრივი ბიუჯეტიდან 77 323 ლარი.

2024 წლის ბოლომდე უნდა დამთავრდეს ლენჯერში ნესგუნისა და ლემსიის სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა. გასულ 6 თვეში შესრულდა 420 00 ლარის სამაუშაოები. დაიწყო ბეჩოს ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლების წყლის სისტემის, სათავე ნაგებობისა და რეზერუარის მშენებლობა. მესტიის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის და სამოქალაქო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით დაიხარჯა 194 291 ლარი, მათ შორის:

- იფარის საბავშვო ბაღის მშენებლობაზე (NAT220015355) 59 862 ლარი. (სახელშეკრულებო ღირებულება 594 650 ლარი).
- ლატალში მრავალფუნქციური შენობის მშენებლობაზე 91 120 ლარი.
- მესტიის საავადმყოფოს სარემონტო სამუშაოებზე 43 309 ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით, სოფლის საჭიროებიდან გამომდინარე შერჩეული პრიორიტეტების შესაბამისად დამტკიცებული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზნით ხელშეკრულება გაფორმდა 99 მეწარმე ფიზიკურ პირთან და შესრულდა 887 730 ლარის სამუშაოები.

სისტემატურად მიმდინარეობს სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება და შესაბამის სამსახურს ტენდერზე გასატანად, განვლილ პერიოდში გადაეცა 18 ობიექტის დოკუმენტები, მათ შორისა:

- ნაკრის საავტომობილო გზის მშენებლობის პროექტი;
- მესტიის 10 კვტ. ელექტრო გადამცემი ხაზის რეაბილიტაციის;
- აეროპორტის (ბ.კახიანის ქუჩის) გზის გარე განათების მოწყობის;
- ადიშის მრავალფუნქციური (საბავშვო ბაღის) შენობის პროექტები ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობის პროცესს ინსპექტირება-ზედამხედველობას უწევენ სახელმწიფო ტენდერში გამარჯვებული კომპანიები.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ ინიცირებული საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში დამტკიცდა საბავშვო ბაღების მშენებლობა წვირმიში, ბეჩოს ცენტრსა და სოფელ ბარშში. რეაბილიტაცია ჩაუტარდებამესტიის პირველ საბავშვო ბაღს. დაიგეგმა უშგულის, ლახამულის და მესტიის მეორე, საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია. „მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს დებულების“ შესაბამისად, 2024 წლის 6 თვეში ჩატარდა 2 სხდომა და განხილულ იქნა 14 საკითხი. მშენებლობის ნებართვა გაიცა 5 ობიექტზე. მათ შორის:

- 1 ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი;
- 1 სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა;
- 1 ხის გადამამუშავებელი საამქრო
- 2 სკოლა (იფარი; ნაკრა)

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ გაიცა 11 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი.

გაცემულ ნებართვებში ცვლილებების შეტანის თაობაზე, მომზადდა 9 ბრძანება.

- გასულ საანგარიშო პერიოდში მომზადდა 10 ერთეული მიწის ნაკვეთის აღნაგობის უფლებით გადაცემის თაობაზე ხელშეკრულება (სარგებლობის უფლებით გაიცა 28 006 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთები);
- ამავე პერიოდში მომზადდა 3 ნასყიდობის ხელშეკრულება. 6 თვის განმავლობაში შეძენილი იქნა 2 788 კვ.მ მიწის ნაკვეთი.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში 2019 წელს შესული ცვლილებებიდან გამომდინარე, სამსახურის არქიტექტურის განყოფილების უფროსს დავალებული აქვს მიწის ნაკვეთების გამიჯვნისა და გაერთიანების პროექტების მომზადება და საანგარიშო პერიოდში მომზადდა 42 თანხმობა მიწის ნაკვეთების გამიჯვნა/გაერთიანების შეთანხმების თაობაზე. ინფრასტრუქტურის სამსახური ჩართულია ინფრასტრუქტურულ ობიექტებზე შესრულებულ სამუშაოთა ჩაბარების პროცესში. ინფრასტრუქტურის სამსახური სისტემატურად იღებს ინფორმაციას მუნიციპალიტეტში მიმდინარე იმ სამშენებლო ობიექტების შესახებ, რომელთა მშენებლობას ახორციელებს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (3 საბავშვო ბაღი, ოთხი საჯარო სკოლა), საავტომობილო გზების დეპარტამენტი და მონაწილეობს პრობლემური საკითხების გადაჭრის საქმეში. უნდა აღინიშნოს, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა ხორციელდება, მესტიის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების მიზნების დანერგვის სამოქმედო გეგმისა და მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტების შესაბამისად, რის საფუძველზეც ყოველწლიურად დგება მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების სტრატეგია და პროგრამული ბიუჯეტი.

მესტიის მუნიციპალიტეტში კოშკების რეაბილიტაცია გრძელდება



სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო მესტიის მუნიციპალიტეტში კოშკების/მაჩუბების რეაბილიტაციას განაგრძობს. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ლენჯერის თემის სოფელ ქაშვეთში მდებარე მიხეილ ფილფანის კოშკის გადახურვის და ბაბუ ფილფანის/სალარებ წიფიანის კოშკის სართულშუა გადახურვის, ასევე, მულახის თემის სოფელ მურშკელში მდებარე სოგრატ ქურდიანის კოშკის გადახურვის რეაბილიტაცია.

შემუშავებულია ძეგლების სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომლის საფუძველზე 2024 წელს დაიგეგმა სამუშაოების ჩატარება.

საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია მიხეილ ფილფანის კოშკის სახურავის ბურულის დაშლა, ჰიდროსაიზოლაციო მემბრანის მოწყობა და სახურავის საფრის მოწყობა ყავრის ფენილით.

ამავდროულად, მიმდინარეობს: ბაბუ ფილფანისა და სალარებ წიფიანის კოშკის ნანგრევი ჩახერგილობისგან გაწმენდა; სართულშუა გადახურვის კოჭების შეფიცვრა; ქვის დაზიანებული ნაწილის ამოშენება; ფასადის დაზიანებული ნალესობის მოხსნა და კირის დუღაბით ხელახლა შელესვა.

სოგრატ ქურდიანის კოშკზე მიმდინარეობს კოშკის ზედაპირის გამოქარული ქვის წყობის მოხსნა-აშენება და სახურავის ხის კონსტრუქციების, ყავრის ქვედა და ზედა ფენილის მოწყობა, 48 კუბური მეტრი მოცულობის კოშკის კედლის აშენება კირდუღაბის ხსნარით.

სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „თაუერს+“ 2024 წლის 13 მაისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე ასრულებს.

ზემოაღნიშნული სამი კოშკის რეაბილიტაციისთვის სააგენტომ გამოყო 245 336 ლარი.

ინფორმაციისთვის: სააგენტო ეტაპობრივად ატარებს მესტიის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფელში მდებარე კოშკებისა და მაჩუბების რეაბილიტაციას. დასრულდა 2023 წელს დაწყებული სამუშაოები და განახლდა სოფელ წვირმში გიგლემიანებისა და ფანგანების საგვარეულო კოშკების გადახურვა, ლენჯერის თემის სოფელ ნესგუნში ლაშა გულედანისა და მიშა გულედანის, სოფელ სოლში გისა ხაფთანის, ბექა ხორგუანისა და თევდორე შუკვანის კოშკების გადახურვა. ასევე, მულახის თემის სოფელ ლახირში განახლდა რუსიკო ზურებიანის კომპლექსში შემავალი გუბანდი და მაჩუბი, ხოლო სოფელ აცაში – გია კვებლიანის კოშკი.

იმიტირებული სასამართლო პროცესი

იურიდიული დახმარების სამსახურისა და ადვოკატთა ასოციაციის ორგანიზებით, მესტიის რაიონულ სასამართლოში იმიტირებული სასამართლო პროცესი გაიმართა. იმიტირებული სასამართლო პროცესი შეეხებოდა სისხლის სამართლის საქმეს, სადაც ნაფიც მსაჯულებს წარმოადგენდნენ მესტიაში მცხოვრები უხუცესები, რომლებიც ტრადიციულ მართლმსაჯულებაში დღემდე მონაწილეობენ. იმიტირებული სასამართლო პროცესის შემდეგ მესტიის ეთნოგრაფიულ მუზეუმში ჩატარდა კონფერენცია თემაზე მსაჯულთა ინსტიტუტი და სვანური ტრადიციული სამართალი“ . კონფერენციის მეორე ნაწილი დაეთმო დისკუსიას, რომელშიც კონფერენციის ყველა მონაწილე აქტიურად იყო ჩართული. შეხვედრის ბოლოს ადგილობრივი უხუცესები და პროცესის მონაწილეები დაჯილდოვდნენ სპეციალური სიგელებით.

საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაცია

სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმში 2022 წლიდან დღემდე აქტიურად მიმდინარეობს განახლებული საგანმანათლებლო პროგრამები. მუზეუმს აღნიშნული პროგრამების ფარგლებში ერთდროულად დაახლოებით 2-3 საჯარო სკოლა სტუმრობს სხვადასხვა პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად. საჯარო სკოლის მოსწავლეებს, ასევე სხვა დაინტერედებულ პირებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ 50 ერთმანეთისგან განსხვავებულ ძალზე საინტერესო, შემეცნებით, თემატურად ვრცელ პროგრამაში.

საგანმანათლებლო პროგრამების მიზანია ნიჭიერი ახალგაზრდა თაობის კიდევ უფრო მეტად დაინტერესება სამუზეუმო სივრცით, ისტორიით, კულტურული მემკვიდრეობითა და უძველესი წარსულით.

თითოეული პროგრამა მოიცავს სალექციო კურსსა და სახალისო, გონების სავარჯიშო, პრაქტიკულ დავალებებს, რომლისთვისაც სვანეთის მუზეუმში გამოყოფილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად სრულიად აღჭურვილი სივრცე.

საზოგადოებისთვის განკუთვნილი პროგრამები მუშაობის კიდევ ერთი ძირითადი ნაწილია, რომელმაც განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა თანამედროვე პერიოდში, ვინაიდან სწორედ ამ პროგრამების მეშვეობით ხდება კონცენტრირება მუშაობის სტრატეგიულ მიმართულებაზე – მთლიანად საზოგადოებაზე.

სწორედ ნიჭიერი ახლგაზრდა თაობისთვის არის საბოლოოდ გამიზნული ის გეგმები და ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს საზოგადოების წევრთა განათლებას, რაც ხდება არა პასიურად, ინფორმაციის მუდმივი და სტაბილური მიღების გზით, არამედ შემოქმედებით მიდგომაზე დაყრდნობით, საკუთარი შეხედულებით ყველა სქგანმანქთლებლო ღონისძიებაში მონაწილეობის მიღებით. ამრიგად, ყველა ამ პროგრამის მართვა წარმოადგენს მიზნების რაციონალური მართვის საფუძველს.

სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმის საგანმანათლებლო პროგრამათა ჩამონათვალი:

1. რა არის არქეოლოგია
2. სვანეთი და გარესამყარო
3. სვანეთი – ანტიკური ხანის საქართველოს ზარაფხანა
4. ხალხური რელიგია – სულიერი კულტურა და მსოფლმხედველობა სვანეთში
5. რიტუალი და დღეობათა კალენდარი
6. სვანეთი ანტიკურ ხანაში (ლარილარის სამაროვანი)
7. „ერთობილი ხევის, ბედნიერი სვანეთის დროშა „ლემ“
8. სვანეთის არქეოლოგიური კვლევა – ძიების ისტორია
9. გარე ფასადური და მონუმენტური მხატვრობა სვანეთის ეკლესიებში
10. ხელოსნობის დარგები სვანურ ეთნოგრაფიაში
11. მართლმადიდებლური სვანეთი და მისი კავშირები ქრისტიანულ სამყაროსთან
12. სვანური მუსიკალური ფოლკლორის სინკრეტულობის აღქმა მოზარდებში
13. ქართული სამგალობლო სკოლები
14. ძველებური სვანური საბავშვო თამაშები
15. მუზეუმი, როგორც იდუმალი სამყარო და მისი ადგილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხში
16. კვირიკობის დღესასწაული სვანეთში და ტერმინი კვირია
17. პირველი ქართული თარიღიანი ხელნაწერი ადიშის ოთხთავი
18. ქართული ანბანის ისტორია და მუზეუმში დაცული ხელნაწერები
19. მუზეუმში დაცული ხეზე დაწერილი ისტორიული საბუთები
20. საკურთხევლის წინამდებარე ჯვრები (ვენეციური ჯვარი)
21. ლაბსყალდის ოთხთავი
22. სვანეთის მუზეუმში დაცული სტავროთეკები
23. .ადათობრივ-ჩვეულებითი სამართალი სვანეთში
24. ხის ორნამენტის ტრადიცია სვანეთში
25. ანალოგიები და ეკლესიაში შესასვლელი კარების მხატვრულად გაფორმების ზოგიერთი თავისებურება სვანეთში
26. სირიული საცეცხლურები მუზუემის კოლექციაში და მათი დანიშნულება ძველ და ახალ აღთქმაში
27. ძვ. აღთქმის წინასწარმეტყველტა პოპულარობა სვანეთის ჭედურ-ფერწერულ სკოლაში
28. სამწერლობლები – მათი ლიტურგიული და სიმბოლური მნიშვნელობა
29. საკურთხევლის წინა ჯვრები – მათი პარალელები და მნიშვნელობა
30. დალი (ნად. ქალღმერთი), დალარ, მასთან დაკავშირებული თქმულებები და ლეგენდები
31. კირის გამოწვის ტექნოლოგია სვანეთში
32. სვანურ-შუმერული პარალელები, ტოპონიმიკა.
33. ტურიზმის ისტორია სვანეთში
34. პირველი ქართული ფული
35. დავით აღმაშენებლის მონეტები სვანეთიდან
36. გურჯი ხათუნის სიყვარულის მონეტის საიდუმლო
37. რას გვიყვება ერეკლე მეფის მონეტა?
38. უცხოური მონეტების მიმოქცევა საქართველოში
39. კოლხურა კულტურა სვანეთში
40. მეტალურგიული წარმოების განვითარება სვანეთში
41. მუზეუმში დაცული მძივები
42. ბრინჯაოს არტეფაქტები – კერძოდ, ბრინჯაოს „ცხარჩიტების“ გამოსახულებების ისტორია
43. სვანური საცხოვრისი-ქორ, სვანური სახლის კომპლექსი, კოშკი-მაჩვიბი
44. სვანი ქალის ვერცხლის სამკაულები (ჩაფრასტი, კებზარი)
45. სვანური სახლის ინტერიერის ხის ავეჯი, „ლლგიმ“, „საკარცხული“, „ფირქ“, „ბანდარ“.
46. საბრძოლო – თავდაცვითი იარაღი სვანეთის მუზეუმიდან
47. სულიერი კულტურის ამსახველი ნივთები არქეოლოგიაში
48. სვანური სამხატვრო ხალხური სკოლა
49. სვანური მითოლოგია
50. ციფრული ტექნოლოგიები და სამუზეუმო საქმიანობა.

მონაწილეობის მისაღებად და სასურველი დღისა და პროგრამის ასარჩევად აუცილებელია წინასწარი რეგისტრაცია ნომრებზე:

551 509 409 – ნათია გიგანი – საგანმანათლებლო მიმართულების ხელმძღვანელი, გიდი პედაგოგი.

ან შემდეგ მეილზე: svanetimuseum@gmail.com

პროგრამები განკუთვნილია ნებისმიერი ასაკის მსურველისათვის.

პროგრამის ხანგრძლივობა: 60 წთ.

პროგრამაში მონაწილეობის მიღება უფასოა

მესტიის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრი

სასკოლო კონკურსი „დიდგორელი“

მესტიის მუნიციპალიტეტში წარმატებით დასრულდა საგანმანათლებლო პროექტის „დიდგორელი“ სასკოლო კონკურსი, რომლის მთავარი მხარდამჭერი გახლავთ მესტიის მუნიციპალიტეტის ახალგაზდრული თვითმართველობა.

კონკურსში გამარჯვებული გახდა ნაკრის საჯარო სკოლის მოსწავლე ნიკოლოზ ვიბლიანი, რომელსაც „ახალგაზრდული თვითმმართველობა“ გადასცემს სტიპენდიას 6 თვის განმავლობაში. ნიკოლოზ ვიბლიანის ისტორიის პედაგოგი სპარტაკ გვარმიანია. გამარჯვებული მესტიის მუნიციპალიტეტის მერმა ბატონ კაპიტონ ჟორჟოლიანმა გამოავლინა.

კონკურს „დიდგორელში“ მეორე ადგილი დაიკავა კალის საჯარო სკოლის მოსწავლემ მარიამ მარგველანმა, რომლესაც მესტიის ახალგაზრდულმა თვითმართველობამ საჩუქრად ფულადი პრიზი და წიგნები გადასცა.

პროექტმა მაღალი შედეგების გათვალისწინებით, გამოავლინა ექვსი მესამე ადგილოსანი: მარიამ ღვაჩლიანი (უშგული) ლიზი დავითიანი (იდლიანი), მარიამ კვანჭიანი (იდლიანი), ნინო ნიჟარაძე (უშგული), ელენე სუბელიანი (ნაკრა), თამარ ნაკანი (მესტიის მე-3 სკოლა), რომლებსაც საჩუქრად ფულადი პრიზები და წიგნები გადაეცათ.

დაჯილდოვების ცერემონიაზე აუდიტორიას მიმართეს მესტიის მერმა ბატონმა კაპიტონ ჟორჟოლიანმა და პროექტის ავტორმა ლევან ჟვანიამ. ასევე, მოეწყო მოკლემტრაჟანი დოკუმენტური ფილმის " წუღრუღაშენი – ლაშა-გიორგის სიყვარულის ისტორია " ჩვენება.

აღსანიშნავია, რომ ფილმზე თავად ლევან ჟვანიამ და 2019 წლის დიდგორელის ფინალისტმა და სტიპენდიანტმა იმუშავეს.

ფილმის ლინკი: https://www.youtube.com/watch?v=Q6dBwzlZ2Hw

კონკურს „დიდგორელში“ მონაწილეობა მიიღო მესტიის 22 სკოლის 105-მა მოსწავლემ, რომელთაგან მესამე ტურში 50, ხოლო ფინალურ ტურში 28 მოსწავლე გადავიდა. კონკურსის ყველა მონაწილეს გადაეცა სხვადასხვა სახის საჩუქრები, მათ შორის წიგნები და სერტიფიკატები.

საერთაშორისო ვორქშოპი „ზემო სვანეთის კულტურული მემკვიდრეობის ხელახლა აღმოჩენა“

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტის ორგანიზებით სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში, ჩატარდა საერთაშორისო ვორქშოპი „ზემო სვანეთის კულტურული მემკვიდრეობის ხელახლა აღმოჩენა“. (ხელმძღვანელი: პროფესორი ზაზა სხირტლაძე, პროფ. ირინა კოშორიძე) ათდღიან საერთაშორისო ვორკშოფში მონაწილეობდა მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურის ათი ახალგაზრდა მკვლევარი, რომელთაც მოინახულეს ზემო სვანეთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, მონაწილეობა მიიღეს საველე-კვლევით სამუშაოებში და ჩაერთნენ სამეცნიერო დისკუსიაში. მოგზაურები ვორკშოფის ერთ-ერთ ლოკაციას, სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმს ესტუმრნენ, სადაც მონაწილეებმა მუზეუმის შუასაუკუნეების საგამოფენო დარბაზში წარმოადგინეს პრეზენტაციები: „ბიზანტიური ხელოვნებისა და ხატწერის ზოგადი ტენდენციები: ჯვარცმისა და ორმოცო მოწამის ხატები, სეტის ტრიპტიქი“ – დორითა ზარპზალსკა. სვანეთის ხატწერის ხალხური ტენდენციები: ღვთისმშობლისა და წმინდა ბარბარეს ხატი, წმინდა მეომრების ხატი“ – ბელა რადანოვიჩი. საერთაშორისო კულტურული ვორკშოფი ხორციელდება სირაკუზის უნივერსიტეტის ხელოვნებისა და მეცნიერების კოლეჯსა და ნიუ ჯერსის სახელმწიფო უნივერსიტეტის რატგერსის ხელოვნების ისტორიის დეპარტამენტთან თანამშრომლობით. ვორკშოპის პარტნიორი გახლდათ სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი.

ვაჩე რაინდელის პოეზია

2024 წლის 27 ივლისს სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა ვაჩე რაინდელის (ილია ჭკადუა) პოეზიის საღამო, რომელიც ადგილოვრივი გაზეთი „ლილე“-სა და სვანეთის მუზეუმის ორგანიზებით ჩატარდა.

ღონისძიება მისასალმებელი სიტყვით გახსნა და მისი წიგნის-“ედემის ჩიტი“, შემოქმედების, ბავშვობისა და მისი ბიოგრაფიის საკვანძო საკითხების შესახებ ისაუბრა პოეტმა ვაჩე რაინდელმა.

შეხვედრაში საპატიო სტუმრების სახით მონაწილეობა მიიღეს ცნობილმა ქართველმა პოეტებმა, შორენა თალაკვაძემ, ნანა ცინცაძემ და ნინო უძილაურმა, რომლებმაც ვაჩე რაინდელის პოეზიის, შემოქმედებისა და ამ დღის მნიშვნელობის შესახებ ისაუბრეს. პოეტი და მისი შემოქმედება საზოგადოებას წარუდგინა ნანა ცინცაძემ. ღონისძიებას პოეტის ახლობლები, მეგობრები, მოწვეული სტუმრები, სვანეთის მუზეუმის თანამშრომლები და თავად პოეტის გულშემატკივრები ესწრებოდნენ.

ზღვა ემოცია, დროში მოგზაურობა, სტილი ლიტერატურული სალონისა, გულწრფელი ემოციები, აპლოდისმენტები, კმაყოფილი და სიამაყით სავსე დამსწრე საზოგადოება, ესაა იმ ამბავთა ჩამონათვალი, რაც თან ახლდა პოეზიის საღამოს.

კოლეჯი „თეთნულდი“

აცხადებს საშემოდგომო მიღებას შემდეგ პროგრამებზე:

კომპიუტერული ქსელი და სისტემები – ინტეგრირებული მიდგომით

სწავლის ხანგრძლივობა – 3 წელი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა – საბაზო განათლება (ცხრაკლასდამთავრებული). ინტეგრირებული სწავლება ნიშნავს, რომ ცხრაკლასდამთავრებულს საშუალება აქვს პროფესიულ განათლებასთან ერთად, მიიღოს სრული ზოგადი განათლებაც. აღნიშნული პროგრამების დასრულების შედეგად, გაიცემა პროფესიული დიპლომი, რომელიც გათანაბრებულია სრული ზოგადი განათლების ატესტატთან.

კონდიტერი

სწავლის ხანგრძლივობა – 15 თვე, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა – საბაზო განათლება.

კულინარიის ხელოვნება – დუალური მიდგომით

სწავლის ხანგრძლივობა – 2 წელი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა – საბაზო განათლება.

დუალური სწავლების დროს პროფესიულ სტუდენტს აქვს შესაძლებლობა, რომ პროგრამის ფარგლებში თეორიულ სწავლებასთან ერთად 51% მეტი პრაქტიკული უნარ ჩვევები მიიღოს პარტნიორ კომპანიებში.

სამკერვალო წარმოება

სწავლის ხანგრძლივობა – 17 თვე, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა – საბაზო განათლება.

სასტუმრო მომსახურება

სწავლის ხანგრძლივობა – 13 თვე, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა – სრული ზოგადი განათლება.

სატყეო საქმე

სწავლის ხანგრძლივობა – 9 თვე, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა – სრული ზოგადი განათლება.

ხის მხატვრული დამუშავება

სწავლის ხანგრძლივობა – 17 თვე, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა – საბაზო განათლება.

ელექტროობა

სწავლის ხანგრძლივობა – 8 თვე, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა – საბაზო განათლება.

საოფისე საქმე

სწავლის ხანგრძლივობა – 10 თვე, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა – სრული ზოგადი განათლება.

საოფისე საქმეში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს საჯარო და კერძო დაწესებულებებში: ოფისის მენეჯერად, ხელმძღვანელის თანაშემწედ, მდივნად. დოკუმენტაციის წარმოებასა და გარკვეული ორგანიზაციული ქვედანაყოფების ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულის სპეციალისტად და დამხმარე მუშაკებად.

რეგისტრაციის გასავლელად ეწვიეთ საიტს: www.vet.emis.ge

ან მობრძანდით კოლეჯში „თეთნულდი“

მის: მესტია, ერეკლე ფარჯიანის ქ. 25

რეგისტრაციის პერიოდი: 02/09-22/09/2024 წ.

სწავლა უფასოა

მუხრან შუკვანის სახელობის გარდამავალი თასის ტურნირი მესტიაში

„მინდა უკვდავი ვიყო... ვიცხოვრო მაშინაც კი, როცა გარდავიცვლები“ – ეს ლეიტენანტ მუხრან შუკვანის სიტყვებია და მართლაც, ის გარდაცვალების შემდეგაც აგრძელებს სიცოცხლეს, როგორც ქართველი, უკვდავი გმირი.

1 სექტემბრიდან, დაბა მესტიაში მიმდინარეობდა ტრადიციად ქცეული ISAF-ის მისიაში 2010 წლის 5 სექტემბერს გმირულად დაღუპული მე-3 ქვეითი ბრიგადის 31-ე ქვეითი ბატალიონის, სამხედრო მოსამსახურის, უფროსი ლეიტენანტის, მუხრან შუკვანის სახელობის გარდამავალი თასის ტურნირი მინიფეხბურთში, რომელიც 5 სექტემბერს დასრულდა.

ღონისძიება საზეიმოდ გახნა და დახურა მესტიის ადგილობრივმა ანსამლმა „რიჰო“ (ხელმძღვანელი ვახტანგ ფილფანი), რომელმაც წარმოადგინა ფოლკლორული ნომრები.

ტურნირის შესარჩევ ეტაპზე თვრამეტმა გუნდმა მიიღო მონაწილეობა, აქედან ექვს გუნდს საქართველოს თავდაცვის ძალების გუნდები წარმოადგენდნენ, 12 გუნდი კი მესტიის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო გუნდები გახლდათ სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულიდან.

პირველ ადგილზე გავიდა თავდაცვის ძალების გუნდი „არმია“, მეორე ადგილის მფლობელი გახდა იფარის საფეხბურთო გუნდი, მესამე ადგილი კი დაიკავა მესტიის №1 ნაკრებმა გუნდმა.

გამარჯვებულ გუნდს, ტრადიციულად, გარდამავალი თასი გადასცა მუხრან შუკვანის დედამ – კლარა გულედანმა.

ტურნირის საუკეთესო ბომბარდირად თეზო ხაჭვანი დასახელდა (იფარის გუნდი);

საუკეთესო მეკარე – ჯემალ კვირიკაშვილი (თავდაცვის ძალების გუნდი „არმია“);

საუკეთესო მცველი – ბესო ჯაფარიძე (მესტიის №1 გუნდი);

საუკეთსო ნახევარმცველი – შმაგი ჭოხონელიძე (თავდაცვის ძალების გუნდი „არმია“);

საუკეთესო ფეხბურთელი – გიორგი გოშთელიანი (მესტიის №1 გუნდი);

საუკეთესო თავდამსხმელი – ნიკა ხაჭვანი (იფარის გუნდი);

ტურნირის აღმოჩენა – ლუკა არღვლიანი (მესტია №2 გუნდი, ცხუმარი).

ტურნირის საუკეთესო ბომბარდირს გადაეცა საქართველოს თავდაცვის ძალების დასავლეთ სარდლობის მე-2-ე ქვეითი ბრიგადის 24-ე საარტილერიო ბატალიონის მეთაურის, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ტრაგიკულად დაღუპული ვიცე-პოლკოვნიკის – გოდერძი აფრასიძის სახელობის სპეციალური თასი, რომელიც თეზო ხაჭვანს გოდერძი აფრასიძის მეუღლემ, მადონა ცინდელიანმა გადასცა.

გამარჯვებული გუნდის ყველა წევრს გადაეცა მედლები, სიგელები და ფასიანი საჩუქრები, მეორე და მესამე ადგილზე გასულ გუნდებს გადაეცათ მედლები და სიგელები. საქართველოს თავდაცვის ძალების წარმომადგენლებს მესტიის მუნიციპალიტეტისგან გადაეცათ ასევე ფასიანი საჩუქრები.

ფასიანი საჩუქარი გადაეცა შპს „მესტიის საავადმყოფო-ამბულატორიული გაერთიანების“ კლინიკურ მენეჯერს, ქირურგს, დავით ბარლიანს, რომელიც წლების განმავლობაში სამხედრო ჰოსპიტალს წარმატებით ხელმძღვანელობდა.

ტურნირის დახურვის ცერემონიალს ესწრებოდნენ: დასავლეთის სარდალი, ბრიგადის გენერალი – კობა გრიგოლია, პოლკოვნიკი – ალექსანდრე ტუღუში, პოლკოვნიკი – დავით ფოფხაძე, პოლკოვნიკი – მიხეილ გოგნაძე, პოლკოვნიკი – ნიკოლოზ აგლაძე, პოლკოვნიკი – ლაშა გრიგოლია, ვიცეპოლკოვნიკი, ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობიდან – მანუჩარ რატიანი, ვიცე-პოლკოვნიკი – დავით გულბანი, ვიცე პოლკოვნიკი – თამაზ ავალიანი, ვიცე პოლკოვნიკი – დავით ჩარქსელიანი, მაიორი კახაბერ – ციცვიძე, მთავარი სერჟანტი – რამაზ პაიკიძე, უფროსი სერჟანტი – მალხაზ კოპალიანი, სერჟანტი – თორნიკე გასვიანი, თავდაცვის ძალების პროტოკოლი – გიორგი ბეჟანიშვილი.

აღნიშნული ტურნირი ემსახურება როგორც გმირების სახელის უკვდავყოფას, ასევე ფეხბურთის და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას ახალგაზრდებში.

მიზანდასახული ახალგაზრდა

ბევრისთვის ცნობილია, როგორ მოვხვდი 12 წლის წინ ლახამულაში და შემდგომ ხუთი წელი იქ გავატარე. 5 წელი ნამდვილად არაა ცოტა, მომესწრო შეყვარება სოფლისა და ხალხისა, ვისთანაც მიწევდა თანცხოვრება.

ხუთი წლის მანძილზე ბევრმა გაიცნო ჩვენი სკოლა მოსწავლე – მასწავლებლებიანად. აქტიურობდნენ მოსწავლეები, მრავალფეროვანი ცხოვრებით ცხოვრობდნენ და ზოგიერთმა სკოლის დასრულების შემდეგაც გააგრძელა აქტიურობა.

მასწავლებლისთვის მოსწავლის წარმატება ყოველთვის სასიხარულოა! ამ დროს სიხარულის, სიამაყის ცრემლი გაწვება და თვალწინ ის წლები ჩაგირბენს, მასთან რომ გაგიტარებია!

დავით და ლუკა კვირიკაძეები განსაკუთრებულად გამოირჩეოდნენ სხვადასხვა მიმართულებით. ლუკას წერილი „მე რომ სოფლის გამგებელი ვიყო“, რომელიც საკონკურსო იყო (და მერე არ შედგა ის კონკურსი რატომღაც) გაზეთმა „ლილე“ დაბეჭდა.

მე-8 კლასელი ლუკა მაშინ წერდა:

„ჩემი აზრით, გამგებელი უნდა იყოს ხალხის მიმართ ძალიან ყურადღებიანი და მონდომებული, მშობლიური კუთხის პატრიოტი. მე რომ გამგებელი ვიყო, მექნებოდა ჩემი კალენდარი, სადაც ყველა სოფლის შემოსავლელად დაწესებული მექნებოდა თითოეული სოფლისთვის განკუთვნილი დღე, როცა შევხვდებოდი სოფლის მოსახლეობას და გავეცნობოდი მათ პრობლემებს.

დღეს სოფლის მოსახლეობის პრობლემა არასტაბილური შემოსავალია, ამიტომ ახალგაზრდებს ქალაქისკენ გაურბით გული და გონება.

ჩემი სოფლის მაგალითზე გეტყვით: 40 წლის წინ სოფლის სკოლაში 100-მდე მოსწავლე ყოფილა, დღეს მხოლოდ 23 მოსწავლეა და მომავალ წელს კიდევ უფრო ნაკლები იქნება.

ადრე სოფელში კლუბიც ყოფილა, კინოსაც უშვებდნენ თურმე. დღეს კი, სკოლასაც კი არ გააჩნია ისეთი ოთახი, სადაც ღონისძიებას ნორმალურად ჩავატარებდით. მოედანიც არ გაგვაჩნია, რომ ბავშვებმა ფეხბურთის ან ფრენბურთის თამაშით გული ვიჯეროთ. არ მგონია, სოფელში სხვაზე ნაკლები ბავშვები ვიყოთ! ელემენტარული პირობები არ გვაქვს ჩვენი ნიჭის გამოსავლენად, თორემ სპორტში ალბათ ტოლს არ დავუდებდით მათ, ვისაც ყველანაირი პირობები აქვთ.“

მე რომ გამგებელი ვიყო, სოფლის მოსახლეობას შიდა გზებს მოვუწესრიგებდი, უსაფრთხო ელექტრო ბოძებს დავუმონტაჟებდი და რაც მთავარია შევქმნიდი სამუშაოდ ფერმებს, სათბურებს, დავასაქმებდი ადგილობრივებს და ვინც განსაკუთრებული გულისყურით მიუდგებოდა საქმეს, წავახალისებდი.

ხალხი დაინტერესდებოდა და სოფელი გაძლიერდებოდა.

ბევრ სოფელშია მინერალური სამკურნალო მნიშვნელობის წყლები, რომლებსაც დაცვა და გადარჩენა სჭირდება.

ყველა სოფელში განვავითარებდი ტურიზმს. ამისათვის მოვიწვევდი პრეზიდენტს ან პრემიერს, გავუკეთებდი რეკლამას და ავაღორძინებდი ტურიზმს.

ტურისტებს შევთავაზებდი ადგილობრივ ფერმასა და სათბურში მოყვანილ პროდუქტს.

სოფლის მოსახლეობას მთებში გზას გავუყვანდი, რომ მეურნეს გაადვილებოდა საქონლის მოვლა-შენახვა. ასევე აღვადგენდი ძველ ისტორიულ ძეგლებს.

რა თქმა უნდა, ყველაფერს გამგებელი ვერ გაწვდება, მაგრამ როცა ხალხი დაინახავს მის უანგარობას, თავდადებას, საქმისადმი ერთგულებას და ხალხის სიყვარულს, მაშინ ყველა მხარში ამოუდგება დასახული მიზნის მისაღწევად.“

სპორტის წყურვილი და სურვილი ლუკამ საბაზო სკოლის დამთავრების შემდეგ აისრულა. რუსთავში გადავიდა საშუალო საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად და უფროს ძმასთან, დავითთან ერთად რუსთავის RITM Fitness Club-ის გუნდის წევრი და კრივის მწვრთნელიც გახდა.

წელს ლუკამ 3 შეჯიბრში მიიღო მონაწილეობა, რომლიდანაც ორი იყო საერთაშორისო. პირველი საქართველოს პირველობა იყო, სადაც მესამე ადგილი დაიკავა, შემდეგ ზაფხულში ირაკლი აბაშიძის ხსნოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი ბათუმში 18 ივნისიდან 22 ივნისის ჩათვლით, 21 ქვეყნის უძლიერეს სპორტსმენს მასპინძლობდა ლუკამ გაიმარჯვა და ჩემპიონი გახდა. ბოლოს კი გორში კანდელაკის საერთაშორისო ტურნირიზე, როგორც თვითონ ამბობს, ნაკრების პირველ ნომერთან

კარგ ბრძოლაში დამარცხდა. მეორე დღეს სპარინგები ჩაატარა ევროპის ჩემპიონატის მონაწილე სომეხ სპორტსმენთან, რომელთანაც მწვრთნელის დავალებით ტექნიკა-ტაქტიკური გეგმით მარტივად და დამაჯერებლად ჩაამთავრა სპარინგების სესია. მთელი წელი ლუკა აქტიური იყო, ყველა შეჯიბრში მიიღო მონაწილეობა, ჩაატარა კარგი

ბრძოლები, აჩვენა თავისი შესაძლებლობები და ამ ყველაფერს უკვალოდ არ ჩაუვლია! გარემოებებიდან გამომდინარე ეროვნული ნაკრების მწვრთნელებმა გადაწყვიტეს მისი ნაკრებში აყვანა. ახლა უკვე ყველაფერი, მისი როგორც მოკრივის კარიერის განვითარება უკვე მისივე სიტყვებით რომ ვთქვა, მის შრომისმოყვარეობაზე და მონდომებაზეა დამოკიდებული.

მე, როგორც ლუკას მასწავლებელს, მჯერა მისი თავდაუზოგავი მიზანდასახულობის და იმედს ვიტოვებ, როგორც ილია სულამანიძეს ჩააკითხა პარიზში მასწავლებელმა საგულშემატკივროდ, მეც ამერიკაში ვუგულშემატკივრებ საყვარელ მოსწავლეს! ისიც მჯერა, რაც მაშინ მე-8 კლასის მოსწავლემ სოფლის თავს „დააკისრა“და დღემდე ვერ მოგვარებულა,თვითონ შეძლებს სოფლის აღორძინებას!

ამჯერად კი ვულოცავ ჯერ მას, შემდეგ მისი ოჯახის ყველა წევრს და სოფელს, სადაც მისი ფესვებია და მთელ სვანეთს!

ლალი მარგიანი

დამფუძნებელი: მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

მისამართი: დაბა მესტია, სეტის მოედანი 1.

გაზეთი მოამზადა მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პრესცენტრის განყოფილებამ

ირმა ჯაჭვლიანი, ნინო ნაკანი

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შპს. „გამომცემლობა კოლორში“

(ტირაჟი - 600 ცალი)

ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით

ტელეფონის ნომერზე: 599 85 55 45

ირმა ჯაჭვლიანი

ელ. ფოსტა:

irmajachvliani1968@gmail.com